ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115789	70562	78926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	106914	96283	147947
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	53295	108761	56424
მარაგები	434113	390581	448405
სხვა	434113	390581	448405
სხვა მოკლევადიანი აქტივები	29908	28275	0
ძირითადი საშუალებები	95523	118308	69312
სულ აქტივები	835542	812770	801014
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	207324	199490	268062
საგადასახადო ვალდებულებები	271	0	429
გამოუმუშავებელი შემოსავალი	97324	117254	29122
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	41572	80393	114859
სხვა ვალდებულებები	165569	209401	228171
სულ ვალდებულებები	512060	609118	646505
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	323482	203652	154509
სულ საკუთარი კაპიტალი	323482	203652	154509
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	835542	812770	801014
სულ მოკლევადიანი აქტივები	710111	694462	731702
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

"UNIVERSE BUSINESS GROUP" LTD 206391466

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	2683081	2392504
საქონლის გაყიდვიდან	2612804	2392504
სხვა	70277	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1965647	-1839685
საერთო მოგება	717434	552819
დასაქმებულთა ანაზღაურება	-378343	-354083
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-21844	-19596
საპროცენტო ხარჯი	-39672	-11556
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-157745	-147188
სულ საოპერაციო ხარჯები	-597604	-503676
საოპერაციო მოგება	119830	49143
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	119830	49143
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	119830	49143
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	119830	49143
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	203652	154509
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	323482	203652

ნ. ჯოხაძე

UNIVERSE BUSINESS GROUP LTD

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობა

მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3081994
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2405628
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-560663
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	23396

საფინანსო საქმიანობა

ფულადი სახსრების შემოსვლა ანაბრიდან	1544
სესხის ძირის გადახდა	-38817
სესხის პროცენტის გადახდა	-7208
დივიდენდების გადახდა	-43588
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	70562
სავალუტო კურსის ეფექტი	-4257
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	115789

ნ. კოპაძე

UNIVERSE BUSINESS GROUP LTD 206316[illegible]

შპს "უნივერს ბიზნეს
ჯგუფ"-ის

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შ ი ნ ა ა რ ს ი

1) ზოგადი ინფორმაცია

2) განმარტებითი შენიშვნები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები შპს "უნივერს ბიზნეს გრუპ"

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპ" რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B10021029 და საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი 04/12/2007 წ. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო ქ. თბილისი ისნის რაიონი, პაატა ჯანელიძის 6 ჩიხი, # 29ა, ფაქტობრივი: საქართველო, ქ. თბილისი, ალექსანდრე წულუკიძის 21. კომპანიის 100%-იანი მფლობელი და ამავე დროს დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე ბ-ნი რომან ბადალიანი პ/ნ 01028002402.

1.1 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა. .

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპში"-ში დასაქმებულია 25 ადამიანი, 2022 წლის მდგომარეობით გაცემული ხელფასების რაოდენობა შეადგინა 447716 ლარს. კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №206316468. საზოგადოება დღგ-ს გადამხდელია 17.07.2008 წლიდან.

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპს"-ს არ ყავს შვილობილი კომპანია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ბასს").

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „დარიექს"-ს 2015 წლიდან დღემდე.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2022 წლის **31** დეკემბერი	**2021** წლის **31** დეკემბერი
1 დოლარი ($)/ლარი (GEL)	2.7020	3,0976

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში (ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტ, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა სარგებლობის ვადა, ისინი აღირიცხება ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება

მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

კომპანიის ბალანსზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება: სატრანსპორტო საშუალებები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი.

5. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო მეთოდის საშუალებით, თითოეულ აქტივზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

6. საინვესტიციო ქონება

-კომპანიას არ გააჩნია მიწა და შენობა-ნაგებობა.

-კომპანიას არ გააჩნია იჯარა, რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, რადგან იგი (ფინანსური იჯარა) ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

-კომპანიას არ გააჩნია ბიოლოგიური აქტივები.

-კომპანიას არ აქვს მიღებული პროცენტები და მიღებული დივიდენდები.

-კომპანიას არ აქვს გაცემული სესხები.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან. აქტივის გაუფასურების ზარალი მაშინ წარმოიშობა, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი
შეადგენს 434113 ლარს, რომელიც განკუთვნილია შემდგომი რეალიზაციისთვის.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 106914 ლარს.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2022 წლის ოფიციალური გასვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ:

1 იანვრისთვის	3,0892
წლის ყველაზე დაბალი	2,6646
წლის ყველაზე მაღალი	3,4019
31 დეკემბრისათვის	2,7020

10. კაპიტალის მართვა.

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

11. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები თითქმის სრულად შედგება საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხებიდან.

13. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის პროცენტებმა შეადგინა 7208 ლარი.

14. მოგების გადასახადი.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის

აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალსა, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.
მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.
2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი, ხოლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, აღარ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში შეტანას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა აღარ აწარმოებს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან/და ვალდებულება ნულია, ვინაიდან აღარ არსებობს ის ფაქტორები, რომელიც გადავადებულ გადასახადს წარმოშობს.

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ

არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

2022 წლის განმავლობაში დამფუძნებლის გადაწყვეტილებით განაწილდა 43587,96 ლარის დივიდენდი, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგების ნაწილს და შესაბამისად, მის ანგარიშში მოგების გადასახადის ვალდებულება არ წარმოიშვება. მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 7691,99 ლარი.

შპს „უნივერს ბიზნეს გრუპის“-ს დირექტორი რომან ბადალიანი

მთ. ბუღალტერი ნ.ჯღარკავა